LTD CRYSTAL BUILDING

Address: 23, bochormi st, 0144, Tbilisi. Georgia.
T: 555 46 15 73
Email : info@crystalbuilding.ge
ramazikutsia@gmail.com

შპს კრისტალ ბილდინგი

მის: საქართველო ქ.თბილისი.ბოჭორმის ქ .№23

"22" ნოემბერი 2016

№ 52-11

ქ. თბილისის მერს

ბატონ დავით ნარმანიას

მოგესალმებით ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ კომპანია შპს „კრისტალ ბილდინგი" დაკავებულია ელიტარული ტიპის მშენებლობებით. კომპანიის სტრატეგიიდან გამომდინარე, ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა სსიპ თვითმმართველი ქალაქი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, მდებარე მისამართზე ქ. თბილისი, დასახლება ზემო ვეძისი (ნაკვეთი 11/022) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 01.10.18.011.022, გამოყენების საშუალებები და მოამზადა წარმოსახვითი პროექტი, რომელსაც თან ვურთავთ წინამდებარე წერილს.

აღნიშნული პროექტის თანახმად, ჩვენი კომპანია გამოხატავს მზადყოფნას განახორციელოს 41 022 კვ.მ. მიწის ფართზე ინვესტიცია 30 000 000 (ოცდაათი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობით, რის საფუძველზე აშენდება ხუთ ვარსკვლავიანი ტიპის სასტუმრო (160 და მეტი ნომრით), ბიზნეს ცენტრი და საცხოვრებელი კორპუსი.

ჩვენ ასევე გამოვხატავთ მზადყოფნას, წინამდებარე უძრავი ქონების პირდაპირი წესით გადმოცემის შემთხვევაში, თქვენს მიერ მითითებულ ადგილას ავაშენოთ და საკუთრებაში გადმოგცეთ 800 კვ.მ. ფართის საბავშვო ბაღი უსასყიდლოდ.

ყოველივე ზ/აღნიშნული სისრულეში მოსაყვანად საჭიროა წინამდებარე წერილში მითითებულ უძრავ ქონებას, მდებარე მისამართზე ქ. თბილისი, დასახლება ზემო ვეძისი (ნაკვეთი 11/022) უძრავი ქონების საკადასტრო კოდი 01.10.18.011.022, შეეცვალოს დანიშნულების ზონა.

მოგმართავთ თხოვნით, შეისწავლოთ ჩვენი წინადადება. თქვენი თანხმობის შემთხვევაში, კომპანია მზადყოფნას გამოხატავს ვალდებულების შესასრულებლად გააფორმოს ხელშეკრულება.

პატივისცემით,

დირექტორი **ე. მამმადლი**

ოფიციალური წარმომადგენელი/
რწმუნებული საქართველოში **ვ. ლომიძე**